ხელშეკრულება №-----/
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონკურსი №)

2014 წლის ----- ---------- ქ. თბილისი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს ორგანიზაციული კომიტეტი, წარმოდგენილი თავმჯდომარის ალექსი ახვლედიანის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, მაჩაბლის ქ. №11;
საიდენტიფიკაციო კოდი: 404404211;
საბანკო რეკვიზიტები:

მეორეს მხრივ ----- „---------- ", წარმოდგენილი ---------- სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ----------;
საიდენტიფიკაციო კოდი: ----------;
საბანკო რეკვიზიტები: სს „----------", ბანკის კოდი: ----------, ა/ა: ----------

იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს ორგანიზაციულმა კომიტეტმა საპროექტო მომსახურების*(CPV: ---------- – ----------)* სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა **№**———— კონკურსი, სადაც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა ----------, შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც შემსყიდველს უწევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას;

1.6. „შესყიდვის ობიექტი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ N———— კონკურსში საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს ---------- ---------- შემდეგი პირობების შესაბამისად:

2.1.1. ----------:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

_____ _____

3. მხარეთა უფლებები

3.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

3.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

3.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

3.2.1. მოითხოვოს სრული და ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

3.2.2. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1.1 დადგენილ ვადებში უზრუნველყოს „შემსყიდველი" ხარისხიანად გაწეული მომსახურებით წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით და დანართებით (----------) დადგენილი პირობების შესაბამისად.

4.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

4.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

4.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის“ ხელშეკრულების ღირებულების გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- (----------) ლარს.

5.2. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს“, მათ შორის - დღგ.

6. ანგარიშსწორების წესი

6.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტისა და „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი 7.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

6.3. გადახდის ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7. მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული პირობების შესაბამისად მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 2014 წლის ----------დან, 2014 წლის ---------- მდე, მის: ქ. თბილისი, ----------.

7.2. მომსახურების გაწევისას მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

7.3. შესყიდვის საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს ----------.

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

_____ _____

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის ---------- და მოქმედებს 2014 წლის ---------- ჩათვლით.

9. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

9.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება ---------- .

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით.

ბ) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

13.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

_____ _____

შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

13.2 ამ ხელშეკრულების 13.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

13.3 გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 13.1, 13.2. და 13.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა

14. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

14.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.2 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.

16.2. მხარეებს, სადავო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

18.3. ყველა დანართი, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება ხელშეკრულებასთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რამე სახის წინააღმდეგობა ხელშეკრულებასა და მის დანართებს შორის უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულებაში მოცემულ პირობებს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
_____	_____